



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87. 8722311001

თარიღი:07/11/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის  
ოქმი № 12**

ქ. ახმეტა 2 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ს დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

ე.ბაღაკაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, თ.ყვინიშვილი,

ზ. ფიცხელაური, თ.მოზაიძე, გ.უძილაური,

გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, კ. მუხაური,

ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

ე. მარკოზაშვილი, ს.ბაბულაიძე,

ლ. მუთოშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი.

სხდომა გაიხსნა 12<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის  
წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

3. ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის“ და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, პირველ სართულზე მდებარე 15.2კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფურქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სანელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 28 საკრებულოს წევრი

მომხრე - 19

მონაწილეობა არ მიიღო - 9 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიანიშვილი, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელიშვილი, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შედეგად შემოსულობების და გადასახდელების ცვლილების დამტკიცება.

### ბიუჯეტის პარამეტრები

**შემოსულობები:** შემოსულობების ნაწილი იზრდება 273,2 ათ. ლარით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულების დაზუსტების შედეგად შემცირდა კოლთოს ბაღის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა - 12,0 ათ. ლარით, გზების რეაბილიტაციაზე (ზემო და ქვემო ალვანის გზა) გამოყოფილი თანხა -21,7 ათ. ლარით, ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩაზე საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა -0,8 ათ. ლარით და დაემატა ქ. ახმეტაში ალაზნის სარწყავ არხზე დამცავი ზღუდარის მოწყობას 307,7 ათ. ლარი .

### საგასავლო ნაწილი:

#### ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

ზრდა

1. სოფლის პროგრამის თანადაფინანსება +32,0 ათ. ლარი
2. სანიაღვრე არხების მოწყობა +17,0 ათ. ლარი - პანკისის სოფელ ომალოში მოწყობა სანიაღვრე არხი
3. დასუფთავების ღონისძიებები + 7,6 ათ. ლარი - ნაგავსაყრელის კონსერვაციისთვის
4. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა +8,0 ათ. ლარი - ქ.

ახმეტაში სარწყავი არხზე ზღუდარის მოწყობის საზედამხებდველო

5. **ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია +27,0 ათ. ლარი** - თუშეთში იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის ობიექტის მოწყობის და ინვენტარით აღჭურვის თანადაფინანსება

**სულ ზრდა 91,6 ათ. ლარი.**

**კლება**

1. **კაპიტალური დაბანდები სპორტის სფეროში** - არაფინანსური აქტივების ზრდა -48,6 ათ. ლარი (ქ. ახმეტაში იპოდრომის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკ. შედგენის ხარჯი).
2. **გზები - 43,0 ათ. ლარი** (ჯოყოლო-დუმასტურის ხიდის მოწყობაზე მორჩენილი ეკონომია)

**სულ კლება: 91,6 ათ. ლარი**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, კ. მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბუღიაძე.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 59 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება N1-99 დანართის სახით მოცემული სიტუაციური რუკების და დანართი N100-ით განსაზღვრული გეოგრაფიული ობიექტების შესაბამისად, არაბული ციფრების გამოყენებით;

განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 20**

**მონაწილეობა არ მიიღო - 8 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი, კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 44 „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ;**

მოისმინეს: ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის“ და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის“

(საიდენტიფიკაციო კოდი - 224631218) და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 224631664) რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე;

2. რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებით სკოლას“ მიუერთდეს ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“;

3. განხორციელდეს ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის“ რევისტრირებულ მონაცემებში სახელის ცვლილება და სახელწოდებად განისაზღვროს - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება“;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 18**

**მონაწილეობა არ მიიღო - 10 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიანი, თ. მოზაძე, ფ. შიომღვიმელი, კ. მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბუღიაძე.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 45 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის“ და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, პირველ სართულზე მდებარე 15.2კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, პირველ სართულზე მდებარე 15.2კვ.მ ფართობის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“-თვის (საიდენტიფიკაციო კოდი 205263873) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხუთი წლის ვადით გადაცემა.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიანი, თ. მოზაძე, ფ. შიომღვიმელი, კ. მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბუღიაძე, გ. უძილაური.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 46 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, პირველ სართულზე მდებარე 15.2კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების -სოფლის ამბულატორიების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა:

ა) სოფელ ზემო ალვანში მდებარე ამბულატორია 56.85კვ.მ ფართი. საკადასტრო კოდი 50.01.35.000.078.01.500

ბ) სოფელ ოჯიოში მდებარე ამბულატორია 57.53კვ.მ ფართი. საკადასტრო კოდი 50.12.34.494.01.500

გ) სოფელ ზემო ხოდაშენში მდებარე ამბულატორია 91.47კვ.მ ფართი. საკადასტრო კოდი 50.02.32.035.01.500

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.**

**სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 20**

**მონაწილეობა არ მიიღო - 8 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ე. ფეტივაშვილი, თ. მოზაიძე, ფ. შიომღვიმელი, კ. მაზიაშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 47 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;**

თინათინ მოზაიძე შემოვიდა განცხადებით სახალხო ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეების პირდაპირ ჩართულობას ბიუჯეტირების პროცესში: „სახალხო ბიუჯეტირების“ საშუალებით მოსახლეობას ექნება საშუალება განანორციელონ კონკრეტული ინიციატივები და საჭიროებები.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:55 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

